სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე პროფესორის და ასოცირებული პროფესორების სამსახურში მისაღებად რექტორის 2015 წლის 23 იანვრის ბრძანება №:16/01-01 საფუძველზე კომპიუტერული მეცნიერებების მიმართულებაზე, ქვემიმართულება: გამოყენებითი ინფორმატიკა გამოცხადებული კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2015 წლის 23 თებერვლის № 31/2015 დადგენილების 5 პუნქტის საფუძველზე დამტკიცებული კომისიის სხდომის

ოქმი (შემაჯამებელი) N3

ქ. თბილისი

„10" მარტი, 2015 წ.
14 : 00

სხდომას კომისიის 5 წევრიდან ესწრებოდა 4 წევრი: კომისიის თავმჯდომარე პროფესორი კობა გელაშვილი; კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ასოცირებული პროფესორი ზურაბ მიდოდაშვილი; კომისიის მდივანი ასოცირებული პროფესორი ირინა ხუციშვილი, კომისიის წევრები: ასოცირებული პროფესორი ლელა მირცხულავა.

დღის წესრიგი:

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის კომპიუტერული მეცნიერებების მიმართულებაზე, ქვემიმართულება – გამოყენებითი ინფორმატიკა ასოცირებული პროფესორის ვაკანსიაზე გამოცხადებული კონკურსის ჩატარების შედეგების შეჯამება.
2. კონკურსის შედეგების ამსახველი შემაჯამებელი ოქმის უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსთვის დასამტკიცებლად გადაცემა.

1. მოისმინეს: საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის პროფ. კობა გელაშვილის ინფორმაცია თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის კომპიუტერული მეცნიერებების მიმართულებაზე, ქვემიმართულება გამოყენებითი ინფორმატიკა ასოცირებული პროფესორის მისაღებად გამოცხადებული კონკურსის (თსუ რექტორის 2015-01-23 – ბრძანება №:16/01-01) მიმდინარეობის შესახებ.
გამოცხადებული იყო ერთი ვაკანტური საშტატო ერთეული:

კომპიუტერული მეცნიერებების მიმართულება, ქვემიმართულება გამოყენებითი ინფორმატიკა – ასოცირებული პროფესორი – 1 საშტატო ერთეული.

კობა გელაშვილმა აღნიშნა, რომ „სსიპ-ი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის" (აკადემიური საბჭოს დადგენილება № 118/2014) გათვალისწინებით საკონკურსო კომისიამ შეაჯამა მუშაობის შედეგები და აღნიშნა, რომ კონკურსის პირველი ეტაპი ორივე აპლიკანტმა გაიარა წარმატებით:

1. კომისიას საკონკურსო დოკუმენტაცია გადაეცა საკონკურსო დოკუმენტაციის მიმღები აპარატის მიერ დალუქულ მდგომარეობაში (რაც დასტურდება საკონკურსო კომისიის მდივნის ხელმოწერით საკონკურსო მასალების მიღების დოკუმენტზე);

2. საკონკურსო დოკუმენტაცია გაიხსნა საკონკურსო კომისიის სხდომაზე (ოქმი N1);
3. კომისიის პირველ სხდომაზე შემოწმდა აპლიკანტთა საკონკურსო ანკეტების სისწორე, სადაც დარღვევა არ გამოვლინდა;
4. ორივე აპლიკანტს მიენიჭა პრეტენდენტის სტატუსი და გადავიდა კონკურსის მეორე ეტაპზე. შედგა გასაუბრების გრაფიკი და განისაზღვრა გასაუბრების დრო და ადგილი (2015 წლის 10 მარტი, 12:00, თსუ XI კორპუსი, ოთახი 327 – იხ. ოქმი N1), რაც გამოქვეყნებული იყო თსუ ვებგვერდზე.

დაადგინეს: კონკურსის პირველი ეტაპი ჩატარდა სრულყოფილად.

მოისმინეს: კომისიის თავმჯდომარის პროფ. კობა გელაშვილის ინფორმაცია კონკურსის მეორე ეტაპის შედეგების შესახებ, რომელმაც აღნიშნა, რომ კონკურსანტების შეფასების მეორე ეტაპი – გასაუბრება ჩატარდა დათქმულ დროს საკონკურსო წესების დაცვით. კონკურსის მეორე ეტაპი დასრულდა წარმატებით, კერძოდ, კომისიამ შეაფასა პრეტენდენტების პროფესიული უნარ–ჩვევები: დისკუსიაში ჩართულობა, გადმოცემისა და მსჯელობის კულტურა, ქცევისა და მეტყველების მანერა და სხვა ისეთი საკითხები, რომლებიც დაკავშირებული იყო უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალის შრომით და საგანმანათლებლო–სამეცნიერო საქმიანობასთან.

დაადგინეს: კონკურსის მეორე ეტაპი ჩატარდა საკონკურსო წესების სრული დაცვით (ოქმი N2).

მოისმინეს: კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია საკონკურსო კომისიის მიერ ორივე ეტაპის შედეგების განხილვის შემდეგ ფარული კენჭისყრის ჩატარების თაობაზე. კენჭისყრა ჩატარდა 2014 წლის 22 დეკემბრის უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს № 118/2014 დადგენილების მუხლი 8–ში გათვალისწინებული პროცედურების სრული დაცვით.

კენჭისყრის შედეგად თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის კომპიუტერული მეცნიერებების მიმართულებაზე, ქვემიმართულება - გამოყენებითი ინფორმატიკა ასოცირებული პროფესორის ვაკანსიაზე გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდა შემდეგი კანდიდატი:

– ასოცირებული პროფესორი თეიმურაზ მანჯაფარაშვილი, არჩევას ხმა მისცა – 4 წევრმა, უარყოფითი – 0.

- ორივე კონკურსანტის ფორმალური კვალიფიკაცია შეესაბამოდა ვაკანსიის პროფილს;
- ორივე კონკურსანტს III კატეგორიაში: სამეცნიერო–კვლევითი საქმიანობა- მიენიჭა მაღალი შეფასება;
- თეიმურაზ მანჯაფარაშვილმა II კატეგორიაში მიიღო მაღალი შეფასება. ფრიდონ დვალიშვილმა მიიღო საშუალო შეფასება, რადგან მისი ავტორობით წარმოდგენილი სილაბუსებიდან მხოლოდ ერთი იყო საკონკურსო ქვემიმართულებით და გარკვეული შენიშვნები გამოითქვა სილაბუსის ფორმასთან და მითითებულ ლიტერატურასთან დაკავშირებით.
- თეიმურაზ მანჯაფარაშვილმა IV კატეგორიაში მიიღო მაღალი შეფასება, რადგან, განსხვავებით მისი კონკურენტისგან რომელმაც მიიღო საშუალო შეფასება, არის სამაგისტრო პროგრამის მოდულის ხელმძღვანელი, მისი ხელმძღვანელობით

შესრულდა ათეულობით სამაგისტრო ნაშრომი, მონაწილეობა აქვს მიღებული მრავალ სამეცნიერო პროექტში და ა.შ.

2. კომისიამ იმსჯელა 2014 წლის 22 დეკემბრის უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ №118/2014 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების წესის შესახებ და ერთხმად დაადგინა, რომ შემაჯამებელი ოქმი დასამტკიცებლად გადაეცეს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს.

კომისიის თავმჯდომარე:

კომისიის მდივანი:

კომისიის წევრები: